პიულეტენი

N4 (87)
ივლისი-სექტემბერი 2018
აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

უკვდავებასთან მიახლოვება

უკვდავებასთან მიახლოვება

ვაჟა ძიგუა

ბრძენი ხალხის შეგონება – დრო მკურნალიაო – თითქოს მარადიულია, მაგრამ დათა გულუასთან მიმართებაში ამ მცნებამ ფერისცვალება განიცადა, დრო უძლური აღმოჩნდა დათას მეწყერივით მოვარდნილი ნიჭის წინაშე, რომელიც არც თუ მინავლდ[illegible]ალი ძალით იფეთქა და გაზაფხულის სურნელებით ამოიკვირტა.

დათა გულუას სახელობის პოეზი[illegible] სიჭაბუკე და ლექსი ერთია“ – დაფუძნება, საქართველოს მწერალთა ეროვნულ კავშირსა და ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირთან ერთად, იტვირთა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა. ამ იდეის ავტორი გახლდათ საქართველოს გამთლიანებაზე ფიქრით დამაშვრალი აფხაზი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა.

კონკურსს მთელი საქართველოს ახალგაზრდობა გამოეხმაურა, მათ შორის ოკუპირებული რეგიონიდან, საინგილოდან, სამცხე-ჯავახეთიდან... მონაწილეთა სულისკვეთება მათ მიერ შერჩეულ დევიზებშიც იკვეთება: „ქრისტეს მხედარი“, „სამასმეერთე არაგველი“. „იბერიელი“, „ოცნებების ზღვა“ ... – რა ფართო ამპლიტუდაა!

წარმომადგენლობითი ჟიური, რომელსაც თავკაცობდა ჩინებული პოეტი და საზოგადო მოღვაწე ბაღათერ არაბული, პირველ სხდომაზე საგონებელშიც კი აღმოჩნდა – როგორ მოეხერხებინათ დებულებით გათვალისწინებული საპრიზო ადგილებისა და ჯილდოების განაწილება, კონკურსში მონაწილე 57 ახალგაზრდა პოეტისათვის, რომელთა გარკვეული ნაწილი ლიტერატურული დონით თითქმის თანაბარი იყო. მიაგნეს კიდეც გამოსავალს: დაწესებული ჯილდოების რაოდენობა გაორმაგეს, გაასამმაგეს... ამას დაემატა მწერალთა ინიციატივით მოფიქრებული ინდივიდუალური პრიზები და ზოგიერთი მონაწილე რამდენიმე ჯილდოს მფლობელიც კი გახდა.

კონკურსის დასკვნით ორ საღამოს – 19 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და 23 ივნისს ზუგდიდში, წარმართავდნენ: არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) და მხატვრული კითხვის ოსტატი ელდინო საღარაძე. მამა ადამმა სიღრმისეული ანალიზით მიმოიხილა დათა გულუას შემოქმედება, შეეხო მისი პოეზიის უნიკალურ შრეებს და ციტატების მოხმობისას უებრო, დახვეწილი მეტყველების წყალობით, აზრისმიერი აქცენტების ზუსტი განაწილებით, კიდევ ერთხელ განგვაცდევინა დათას პოეტურ მეტაფორათა განუმეორებელი სურნელება. ქალბატონმა ელდინომ ამჯერადაც შეძლო ლექსის კითხვის მისეული ინტერპრეტაციით დარბაზის გაერთიანება, მსმენელის დამუხტვა პოეზიის ჭეშმარიტი სილამაზის ძალით.

▷▷ გაგრძელება შემდეგ გვერდზე

ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე http://scara.gov.ge/ka/2010-07-05-08-39-35.html. გამოქვეყნებულია აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის, გენოციდის მსხვერპლთა (მშვიდობიან მოქალაქეთა) სია რაიონებისა და სოფლების მიხედვით. წინასწარი მონაცემებით სია შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და მასში ვერ მოხვდა ყველა დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული; ზოგიერთი პიროვნება პირიქით, სიაში შეცდომით არის შეყვანილი. სიის დაზუსტება-დაკონკრეტების მიზნით, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები.

მისამართი:

ვაჟა-ფშაველას №16, მე-6 სართული.
საკონტაქტო ტელეფონი:
237 64 02; 595 30 75 55; 591 51 36 59; 599 33 75 73
ელ ფოსტა:
abkhazeti2017@gmail.com
scofara@gmail.com

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და გულისხმიერებისათვის.

უკვდავებასთან მიახლოვება

◁◁ დასაწყისი წინა გვერდზე

დარბაზში შეკრებილნი და გამომსვლელნი, აცნობიერებდნენ რა კონკურსის მნიშვნელობასა და მის სიკეთეს, სამომავლო პერსპექტივებზეც ამახვილებდნენ ყურადღებას. ნებისმიერი კონკურსი გამართლებულია, ერთ სახელსაც თუ აღმოაჩენ[illegible]ეთი აღმოჩენა ქეთი ნაჭყებიაა, რომელსაც გიორგი ბალახაშვილთან, გიორგი ესებუასთან, თო[illegible]კომლაძესა და ზაზა სუყაშვილთან ერთად მიენიჭა კონკურსის ლაურეტის წოდება და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა, დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ინდირა ძაგანიამ, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომ[illegible] მარინე თექთუმანიძემ, ჯგუფ „კონკორდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამარ ფარულავამ, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ირმა ირემაძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა, დეპუტატმა რაისა ქარაიამ თავიანთ საგულისხმო გამოსვლებში ისაუბრეს კონკურსის მნიშვნელობაზე და სხვადასხვა სახის პრიზები გადასცეს მონაწილეებს.

მწერალთა „პირადი სიმ[illegible]ის პრიზი“ – არქიმანდიტრმა ადამმა – თორნიკე კომლაძეს, გურამ ოდიშარიამ – ვენერა ქალდანსა და ნიკა ფუტკარაძეს, ბაღათერ არაბულმა – გიორგი ბალახაშვილსა და ქეთი ნაჭყებიას, მარინე თექთუმანიძემ – ლიზი ბუდაღაშვილს, ზაზა სუყაშვილსა და მარიამ ცერცვაძეს, ელდინო საღარაძემ – ზაზა სუყაშვილს ავტოგრაფით საკუთარი წიგნები უსახსოვრეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზი გაახალისა დათა გულუას ლექსების პირველი შემფასებლისა და შემკრების, მისი ქართული ლიტერატურის მასწავლებლის ლელა მელიქიშვილის მოგონებებმა დათას სასკოლო ცხოვრებიდან .

თბილისიდან ღონისძიების დასკვნითმა საღამომ ზუგდიდში გადაინაცვლა. თითქოს დათა ესტუმრაო ზუგდიდს – სცენის სიღრმეში განთავსებული ღვთიური სათნოებითა და ღიმილით განათებული მისი სურათი ეგებებოდა პოეზიის მოყვარულ ახალგაზრდებს, რომლებ[illegible]ბედნიერ[illegible] მრავლადაა სამეგრელოს ამ რეგიონში. ზუგდიდი ხომ პირველი დღიდანვე უღელი ხარივით იყო შებმული აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ისტორიულ ბედუკუღმართობაში.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ 2007 წელს [illegible]ერაბ ბერძენიშვილის სახელობის ცენტრ „მუზაშ[illegible]მართულ ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის აღსაყდრების 30 წლისთავს მიეძღვნა, მისმა უწმინდესობამ ბრძანა: „დღეს ჩვენ ყველამ თავი აფხაზეთში ვიგრძენით“. სწორედ ამგვარი ატმოსფერო სუფევდა ამ შეკრებაზე ზუგდიდის მოსწავლე – ახალგაზრდობის განვითარების სასახლეში.

ქალბატონი ელდინო მიესალმა რა პოეზიის მოყვარულებს, მრავლისმეტყველი ჟესტით ხელი გაიშვირა დათას სურათისკენ და მიანიშნა, რომ პოეზიის კოჰორტას ამშვენებს არა მხოლოდ გარეგნული, სულიერი სილამაზით გამორჩეული, მარად ჭაბუკი პოეტი.

მამა ადამის გამოსვლა, როგორც ყოველთვის, იყო საგნობრივი, ინტელექტითა და ემოციით გაჯერებული. იგი გვესაუბრებოდა დღევანდელ, გუშინდელ, ხვალინდელ დღეზე... რა თქმა უნდა, დათას პოეტურ ტალღაზე იყო აგებული ორატორის შემეცნებითი მსჯელობა. შეუძლებელია არ დაეთანხმო მამა ადამს: დათა რომ ყოფილიყო, საქართველო დღეს სხვანაირი იქნებოდაო... და წაიკითხა დათა გულუას ერთ-ერთი შედევრი – „სიზმრის ვაგონი“, რომელშიც თვალნათლივ იგრძნობოდა მგოსნის წინასწარმეტყველური ხედვა:

„მატარებელმა შეწყვიტა სუნთქვა,
ბოლი აუშვა ზეცისკენ კიბედ...“

ბაღათერ არაბულმა დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა დათა გულუას გარდაცვალების მეორე დღეს დაწერილი, განცდებით დამუხტული საკუთარი ლექსი „განშორება“.

შთამბეჭდავი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსის, პოეტ ლაშა გვასალიას გამოსვლა, რომელმაც სინანული გამოხატა ამქვეყნიური ცხოვრებიდან უდროოდ წასული ქართველი პოეტების გამო.

▷▷ დასასრული მე-11 გვერდზე

ერთი დღე ბოდბეში

**„სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო
და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო,
ქართველთა განმანათლებელო და სულისა
წმიდისა ქნარო ნინო,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩვენთა[illegible]ვის. ამინ.“**

ციცინო ჯულუხიძე 17 ივლისი, 2018

ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს სამშობლოში, უფლის წყალობით, იმდენი წმინდა ადგილია, მათ მოლოცვას, ალბათ, უბრალო მოკვდავის მთელი ცხოვრება არ ეყოფა. თუმცა, ამ სიწმინდეებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ბოდბის დედათა მონასტერს, სადაც ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო განისვენებს. მემატიანის ცნობით, „წმიდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა, სწორედ იმ ადგილზე, რომელიც უფალმა წინასწარვე გამოარჩია მისთვის სათნოდ. მეფე მირიანმა სვეტიცხოველში, მაცხოვრის კვართთან ახლოს მოისურვა მისი გადასვენება, მაგრამ ორასმა კაცმა ძვრა ვერ უყო წმიდანის მცირე სარეცელს და იქვე, ბოდბეში, დაკრძალეს. დამწუხრებული მეფე თავის სამეფოსთან ერთად ოცდაათი დღე გლოვობდა „სიობლესა თვისსა“. საფლავთან ხალხიც დიდძალი შეკრებილიყო, რადგან მრავალი კურნება აღესრულებოდა ქრისტეს მადლით. პირველი ტაძარიც წმიდა ნინოს ლუსკუმაზე, „ფრიად დიდი“ და „ყოვლითა სამკაულითა“ შემკული, სწორედ მეფე მირიანმა ააგო. გარდაცვალების წინ კი ანდერძად დაუტოვა ნანა დედოფალს: „შენ, ნანა, თუ დაგცალდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ, სამეფო განძი ორად გაყავი და ერთი ნაწილი წმიდა ნინოს საფლავს შესწირე, რათა უკუნისამდე შეუძვრელად ეგოს ეს ადგილი“, მთავარეპისკოპოსს კი მეფე ევედრა, განედიდებინა ბოდბე, რადგან პატივი შვენოდა ამ ადგილს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცნობილმა ჰაგიოგრაფმა და ხატმწერმა მიხეილ საბინინმა წმიდა ნინოს საფლავის ძველი ქვა მარმარილოს ლუსკუმით შეცვალა“.

მრავალმა ქარტეხილმა გადაუარა მონასტერს, არც დამპყრობთა მიერ იავარქმნა და გაძარცვა დაჰკლებია, არც კომუნისტების მიერ შეურაცხყოფა, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო და დღეს კვლავ აგრძელებს თავის ღვთივსათნო საქმიანობას. მონასტრის ერთ-ერთ სიწმიდეს წარმოადგენს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

სწორედ ბოდბეში, წმ. ნინოს საფლავის მოსალოცად გავემართეთ ამჯერად დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლი. მონასტერი ასწლოვანი ხეების ჩრდილშია ჩაფლული. ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა ის ძალა და მადლი, რასაც წმიდა ადგილები ასხივებენ ხოლმე. მამა ბიძინამ საჯანმრთელო პარაკლისი გადაიხადა და სწორედ წმ. ნინოს საფლავთან აღასრულა ზეთისცხება.

ტაძრის მოლოცვის შემდეგ წმ. ნინოს წყაროსკენ გავემართეთ. წმიდა ნინოს წყარო მონასტრიდან დაახლოებით 3 კმ-ში მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, ის წმიდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულა. ამიტომაც ეწოდება წმიდა ნინოს წყარო. ამ წყალში განბანვის შემდეგ უამრავი სულიერად და ფიზიკურად დავრდომილი ადამიანი განკურნებულა. მომლოცველთა რიგში ჩამდგარნი გულში ჩუმად ვიმეორებდით წმ. ნინოს ტროპარს, ვევედრებოდით ქართველთა განმანათლებელს, მოენიჭებინა ჩვენთვის სიმშვიდე და ჯანმრთელობა.

ემბაზი, სადაც წყარო ჩაედინება, დიდი არ არის, მაგრამ მხოლოდ მცირე სარკმლებიდან შემოსული შუქის ფონზე საფეხურებით რომ ჩადიხარ მასში, უკვე ამქვეყნიურზე არაფერზე ფიქრობ, შენ იქ ხარ, უფალთან, მის კალთას შეფარებული. სუნთქვისშემკვრელია ყინულივით ცივ წყალში ჩაყვინთვა, მაგარამ, რამდენიმეწუთიანი განბანვის შემდეგ ისე ამოდიხარ, ფეხქვეშ მიწასაც ვერ გრძნობ, თითქოს ღრუბლებში დააბიჯებ, ბუმბულივით მსუბუქი ხარ...

წმ. ნინოს წყაროს წყალიც ვიგემეთ და განცდილი შთაბეჭდილებებით სავსე და ამაღლებული განწყობით გამოვემგზავრეთ თბილისისაკენ იმ რწმენით, რომ უფლის ნებით, კიდევ მრავალ მონასტერს მოვილოცავთ...

ის იყო ლიდერი

მანანა კორძაია

2018 წლის 29 ივნისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი საზოგადოებას იწვევდა თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში საიუბილეო კონცერტზე: „საქართველოს სიმებიანი კვარტეტი – 80“. ეს კიდევ ერთი მოკრძალებული ნაბიჯი იყო იმ გზაზე, რომლითაც ცენტრი ცდილობს არ დაირღვეს ქართულ-აფხაზური სულიერი ერთობა.

მოსაწვევის ფოტოზე 4 მუსიკოსი იყო აღბეჭდილი – თამაზ ბათიაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი, ნოდარ ჟვანია და... კონსტანტინე ვარდელი, რომლის ხსოვნასაც ეძღვნებოდა საღამო... კონსტანტინე ვარდელი – დიდი მუსიკოსი, თბილისის ცენტრალური ნიჭიერთა ათწლედისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მოქმედი თუ ახალგაზრდა წარმატებული მუსიკოსების, საერთაშორისო კონკურსების უკვე შემდგარი თუ მომავალი ლაურეატების აღმზრდელი, რომლის სიცოცხლე მოულოდნელად იმსხვერპლა ტრაგიკულმა შემთხვევამ. ამიტომაც დარბაზში სევდანარევი საიუბილეო ზეიმის განწყობა სუფევდა... განწყობა, რომელიც აგერ უკვე თითქმის ერთი წელია, საიუბილეო თარიღის პარალელურად, თან სდევს კვარტეტის საკონცერტო ცხოვრებას.

2017 წლის ოქტომბერი იწურებოდა. ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში დიდი ქართველი კომპოზიტორის სულხან ნასიძის 90 წლისთავს აღნიშნავდნენ. კონცერტის აფიშა, სხვა კოლექტივებთან ერთად, საქართველოს სიმებიანი კვარტეტის მონაწილეობასაც იუწყებოდა. საოცარი განცდა დამეუფლა – კვარტეტი კონსტანტინე ვარდელის გარეშე.... ჯერ ერთი წელიც არ გასულა... ვინ უნდა შეცვალოს... მღელვარედ გავაგრძელე კითხვა და აღმოჩნდა ის, რასაც სრულიად არ მოველოდი. კოტიკას (ასე მიმართავდნენ მუსიკოსები) პულტთან გენიალური ლიზა ბათიაშვილი დაჯდება, თამაზ ბათიაშვილის ქალიშვილი, რომელიც ამ კვარტეტის წიაღში გაიზარდა. ეს ხომ ერთი ოჯახი იყო. მეგობრები და კოლეგები არ ეთქმოდათ. მათი კავშირი გაცილებით ღრმა იყო – ეს ყველაფერი ერთად და კიდევ რაღაც, გაუცნობიერებელი, სიტყვები რომ არ ჰყოფნის. პათეტიკა არ გეგონოთ. მგონი მსოფლიოში არ არის კვარტეტი, რომელშიც მუსიკოსებს ერთმანეთისთვის 50 წელი გაეძლოთ. ისიც ხდება, რომ ერთად უკრავენ, მაგრამ უბრად არიან. ამათ კი ერთი წლის წინ, 2016-ში ჯერ კიდევ კოტესთან ერთად აღნიშნეს ერთად ყოფნის ნახევარი საუკუნე. იმ საღამოსაც უკრავდა ლიზა, მაგრამ როგორც სოლისტი. ახლა... ალბათ მისთვის კიდევ უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო იყო ეს მისია. ერთია იყო სოლისტი, მეორე – გახდე კოლექტიური აზროვნების ნაწილი, თანაც შენი „მამების“! მისი თანხმობა იმ სიყვარულის, პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულება იყო, რომელსაც ყველა, და, მათ შორის, ლიზაც გრძნობდა კოტიკას მიმართ.

ვარდელს კვარტეტის „ბიჭები“ ლიდერად მოიხსენიებდნენ, რადგან „100%-ანი პირველი ვიოლინო იყო“ (ნოდარ ჟვანია, ალტი), არა მარტო როგორც მუსიკოსი და პირველი პულტის მფლობელი, არამედ იმიტომ, რომ იყო საოცრად თავმდაბალი და ყოველგვარ ამპარტავნებას მოკლებული; იმიტომ, რომ თუმც „იცოდა თავისი ფასი, მაგრამ თავს არავის ახვევდა“ (თამაზ ბათიაშვილი, მეორე ვიოლინო); იმიტომაც, რომ „რაც არ უნდა რთული კონცერტი ყოფილიყო, კოტიკას იმედი გვქონდა. ნებისმიერ სიტუაციაში რაღაც გამოსავალს იპოვნიდა“ (ოთარ ჩუბინიშვილი, ჩელო). მათი აზრით, ეს შინაგანი ადამიანური კავშირი ყოველთვის აისახება შემოქმედებაზე. კეთილგანწყობა და სიყვარული მაღალი რანგის შემოქმედების საფუძველია.

ამ გრძნობებს კი უხვად აფრქვევდა ეს საოცრად ლაღი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე, კონსტანტინე ვარდელი.

კვარტეტის წარმატებაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. მათ მსოფლიოს საუკეთესო იმპრესარიოები იწვევდნენ და უდიდეს საკონცერტო სცენებს იპყრობდნენ. სტანდარტებისა და კლიშეებისაგან თავისუფალი, მაღალი საშემსრულებლო ხარისხით აღბეჭდილი მათი ვრცელი რეპერტუარი მსოფლიო ხელოვნების ყველა დროისა და ეპოქის მუსიკას მოიცავს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი კომპოზიტორების თხზულებებს. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს სულხან ცინცაძეს, რომლის სახელსაც კვარტეტი ატარებს; მათი საკონცერტო აფიშები თუ საფესტივალო ბუკლეტები ცხადჰყოფდნენ ანსამბლის მონაწილეობას ყველა მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენაში; მათთან, როგორც სოლისტები, უკრავდნენ არა მარტო უცხოელი ცნობილი მუსიკოსები, არამედ ქართველი დამწყები თუ მხცოვანი შემსრულებლები; და ამიტომაც, საერთაშორისო ჯილდოებთან ერთად, ყველა ქართული პრემიის მფლობელნი არიან.

და ამ ყველაფრის სათავეში იდგა კვარტეტის პირველი ვიოლინო – კონსტანტინე ვარდელი, დიდი მუსიკოსი, რომელიც სოლო გამოსვლებს დიდად არ სწყალობდა; საანსამბლო მუსიკა იყო მისი სტიქია. თორემ, თუ გავიხსენებთ კონცერტებს სოლო ეპიზოდებით მისი შესრულებით, ან საღამოებს თბილისსა თუ ბორჯომში მეგობრულ შეხვედრებზე, სოლოდ თუ მედეა ფანიაშვილთან დუეტში, კლასიკური თუ პოპულარული თემების იმპროვიზაციებით, იუმორით გაჯერებული შტრიხებით, ცხადია, წამითაც ვერ შევიტანთ ეჭვს, რომ ჩინებული სოლისტი იყო. საოცრად ჟღერდა მისი სოლო ვიოლინო მიხეილ კობახიძის ფილმებში. და, სულ ბოლო მისი ჩანაწერი – გია ყანჩელის სავიოლინო მინიატურები (კონცერტმაისტერი მარინა ღურჭუმელია).. საოცარია!

ახლა უკვე ერთი წელი გავიდა... ქართველი მუსიკოსები კონცერტებითა და მოგონებებით აღნიშნავენ ამ თარიღს. მაგრამ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით გამართულ ამ საღამოს მაინც განსაკუთრებული ელფერი ახლდა – კვარტეტის „ბიჭები“ უკრავდნენ და იგონებდნენ თავის მეგობარს, აფხაზეთში გამართულ კონცერტებსა თუ აფხაზეთის სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას, ამ კეთილშობილ ადამიანებთან ურთიერთობას. საღამო თამაზ ბათიაშვილს მიჰყავდა და რაოდენ სასიამოვნო იყო, როდესაც წამყვანის მიერ, ამა თუ იმ მოვლენის გახსენებისას, ეპიზოდის გმირები დარბაზში მსხდომთა შორის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ემოციური იყო თამაზ ბათიაშვილის ერთ-ერთი აფხაზური კონცერტის მოგონებისას მისი „გმირის“, გალის მუსიკალური სკოლის დირექტორის, ქალბატონი მანანა ბურბუთაშვილის მოულოდნელი „აღმოჩენა“ დარბაზში, რომლის თაოსნობითაც ორი ათეული წლის წინ გალში სულხან ცინცაძის დაბადების დღის აღსანიშნავი შეხვედრა გაიმართა. ამგვარმა იმპროვიზაციებმა ლაღი დიალოგის სახე შეიძინა ამ სევდიან საღამოს.

და მაინც ძირითადი იყო მუსიკა და ის განცდა, რომ 80 წლის ანსაბლმა განაგრძო თავისი წარმატებული სვლა. ამჯერად პირველი ვიოლინოს პულტთან უკვე მისი სრულუფლებიანი წევრი გიორგი ხაინდრავა იჯდა. საკონცერტო პროგრამაში ერთმანეთს ენაცვლებოდა სტილურად და ეპოქალურად მკვეთრად განსხვავებული კომპოზიტორების – მოცარტის, შუბერტის, ბრამსის, ჩაიკოვსკის, შოსტაკოვიჩის კომპოზიციები, ამერიკული ჰიტები ჩარლი ჩაპლინისა და ჯერომ კერნის იმპროვიზაციებით... განსაკუთრებული ოვაცია ახლდა ბისზე აჟღერებულ ვაჟა აზარაშვილის „მოხეტიალე მუსიკოსს“ (ციკლიდან „ძველი თბილისის ჰანგები“) და ცინცაძის მინიატურებს – „მწყემსურსა“ და „ჭიჭე ტურას“, რომელთა შესრულებისას პირველივე ფრაზებიდან სკანდირებდა აღტკინებული დარბაზი.

მადლობა კვარტეტს, განსაკუთრებით მასპინძლებს – აფხაზეთის მთავრობის მესვეურთ, საღამოს ინიციატორს – აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს. მათ მიერ გაღებული ყველა ეს თითქოს და უმნიშვნელო მოვლენა ჩვენი დიდი ერთობის საფუძველია.

ვულოცავთ!

ციცინო ჯულუხიძე



ვისაც სოხუმში უცხოვრია და, განსაკუთრებით ბავშვიანებს, კარგად ახსოვს ძიძარიას ქუჩაზე კოპწია ეზოში მდგარი რკინიგზელთა საბავშვო ბაღი, რომელიც თვალს გტაცებდა სისუფთავით და გამოირჩეოდა პედაგოგთა და აღმზრდელთა პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერებით. სწორედ ამ საბავშვო ბაღის გამგე გახლდათ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიამდე, თითქმის 30 წლის მანძილზე, ჩემი დღევანდელი რესპონდენტი – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, სათნო, კეთილად მოსაუბრე და ქვეყნის სატკივრით გულდამძიმებული ქალბატონი ნინა არაჰამია-გვაზავა, რომელიც წელს იუბილარია – იგი 90 წლის გახდა.

– სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავირიცხე, მაგრამ სისხლის დანახვაზე გული რომ წამივიდა, მივხვდი, ექიმი ვერ გავხდებოდი და იმავე საბუთებით სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავედი, – იგონებს ქალბატონი ნინა. – მეორე კურსზე ოჯახი შევქმენი, მეოთხეზე უკვე ორი შვილი მყავდა – ნატო და გია. ამ დროს ჩემმა მეუღლემაც დაამთავრა ინსტიტუტი და ფოქვეშში დაინიშნა სკოლის დირექტორად. მეც, რასაკვირველია, თან გავყევი, რადგან მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ცოლ-ქმარი სულ ერთად უნდა იყოს. სწორედ ამიტომ აქვს ქართულ ენას არაჩვეულებრივი სიტყვა – მეუღლე, ე.ი. ის, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრება უნდა სწიო ჯაპანი. ფოქვეშიდან პარტიის ოჩამჩირის რაიკომში გადაიყვანეს პარტიული განყოფილების უფროსად. მე საბავშვო ბაღის გამგედ დამნიშნეს. მართალი გითხრათ, თავიდან არც კი მინდოდა, ცოტა მეშინოდა, მაგრამ ჩემმა მამამთილმა მითხრა, შენ ნიჭიერი გოგო ხარ და ყველაფერს შეძლებ, სიძნელეების არ უნდა შეგეშინდესო. 1952 წელს ყველა ოფიცერი ხელახლა გაიწვიეს ჯარში, მათ შორის, ჩემი მეუღლეც, ბელორეჩენსკში მიავლინეს. მეც თან გავყევი ბავშვებიანად, შემდეგ კრასნოდარში და ბოლოს სოხუმში, საიდანაც იყო თვითონ.

– სოხუმში გადმოსვლის შემდეგ მალე დაიწყეთ მუშაობა?

– დიახ, რკინიგზის საბავშვო ბაღის გამგედ დამნიშნეს. მართლა კარგი ბაღი გვქონდა. კარგი პედაგოგები გვყავდა. ორ-ორი თვე გაგვყავდა ბავშვები ზაფხულობით სურამში, ცემში, წაღვერში, ტაშისკარში...

გიამ რომ საშუალო დაამთავრა, იმ წელს გარდაიცვალა ჩემი მეუღლე, 1968 წლის აგვისტოში. კი არ გარდაიცვალა, გაფრინდა თითქოს (ხმაში სევდა შეეპარა ქალბატონ ნინას). უმცროსი ვაჟი, ახლა მეუფე ანდრია, ოთხი თვის დამრჩა. ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, რომ მომევლო, წყალი მიმეწოდებინა. მე და ნატო ბაზარში ვიყავით, ხილი უნდა გამეტანებინა მისთვის, სტუდენტი იყო და ხარკოვში მიდიოდა. პატარა ბავშვი გიას დავუტოვე, ჩემს მოსვლამდე ეტლით სანაპიროზე ასეირნე-მეთქი. ჩემი მეუღლე მოსულა სახლში, იქ არავინ დახვედრია. მეზობლისთვის დაურეკავს, რაღაც ცუდად ვარო, გამოუძახებიათ სასწრაფო, ვერ მოუსწრეს. მე მეზობლის ბავშვმა მომძებნა, ნინა დეიდა, სახლში ხართ საჭიროო. ვიფიქრე, ალბათ ბავშვს რაღაც შეემთხვა და გიამ ვერ უშველა-მეთქი, რას ვიფიქრებდი, საღსალამათი კაცი, სამსახურში წასული, თუ მიცვალებული დამხვდებოდა. ძალიან გამიჭირდა, სიცოცხლე არ მინდოდა, მაგრამ ვიფიქრე, თავი რომ მოვიკლა, შევარცხვენ ჩემს მეუღლეს და ბავშვებს-მეთქი. მორწმუნე ქალი ვარ. თვეში ორჯერ ილორში დავდიოდი მოსალოცად, თავსაფრითა და შავი სათვალეებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე პარტიული მუშაკი იყო და მაშინ ეკლესიურ ცხოვრებაზე ვერც კი ისაუბრებდი, ხატების კუთხე მქონდა, სადაც ვლოცულობდი. მას ხელი არასოდეს შეუშლია, მეუბნებოდა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ოღონდ მაინც და მაინც ყველას ნუ შეიყვან იმ ოთახშიო.

– მეუფე ანდრიამ როდის გადაწყვიტა, უფლის გზას შესდგომოდა?

– მეუღლის გარდაცვალების შემდეგ პატარა თან დამყავდა ილორში. მერე თვითონაც მიხვდა, რომ ეს საჭირო იყო და თავად დადიოდა. აფხა-

ზეთის ომში დაიჭრა, კომანში, აქ იყო თბილისში სამკურნალოდ, როდესაც განახლდა ეს ომი, არავის დაუჯერა, მაშინვე სოხუმში დაბრუნდა.

ომის შემდეგ, თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მივიდა მოსალოცად. შევიდა თუ არა, მამა ვიტალიმ თავი დახარა და ხელზე ემთხვია. მონაზონ სერაფიმას უთხრა, თურმე, როგორ დგახარ, ვერ ხედავ, შენ წინაშე მომავალი მეუფე დგას, ემთხვიე ხელზეო. მართალი გითხრათ, არ მინდოდა მისი ბერობა, ბევრ შვილიშვილზე ვოცნებობდი, მაგრამ უფლის ნებაა ყველაფერი. ახლა გორისა და ატენის მიტროპოლიტია და ძალიან უყვარს მრევლს. ეს დიდი ბედნიერებაა.

– რამდენი შვილიშვილი გყავთ?

– სამი შვილი მყავს, სამი შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი. რაც დავკარგე, არაფერს ვდარდობ, მხოლოდ ჩემი მეუღლის საფლავი და წიგნები მენანება, სამი ათასი წიგნი...

– რამდენადაც ვიცი, თქვენ ომის შემდეგაც არ შეგიწყვეტიათ ბავშვებზე ზრუნვა.

– დიახ, რამდენჯერმე წავიყვანე სურამში დევნილი ბავშვები, რომლებსაც ასთმის პრობლემები ჰქონდათ. რკინიგზამ გამომიყო საგზურები, როგორც მათ ძველ თანამშრომელს.

– დასასრულს, რას ეტყოდით მკითხველს?

– დარდი ბევრი მქონდა, მაგრამ განსაკუთრებით ჩემი ქვეყნის ბედი მაწუხებს, ძალიან მწარედ მაქვს გულში. პირველ რიგში, ოჯახის სიწმინდეს სჭირდება დაცვა, ჩვენ ხომ ასე ვცხოვრობდით მუდამ. ყველას თავისი ცხოვრება აქვს, მაგრამ ტელევიზია მხოლოდ ცუდს არ უნდა უწევდეს პროპაგანდას, ამას ხომ ჩვენი შვილიშვილები უყურებენ. ყოვლადწმიდა მარიამს ყველა დედა თავის ტოლად მიაჩნდა და დღეს „ჩემი დედაო...“ მოზარდი რომ იტყვის, ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს! ყველას ყველაფრის უფლებას ვაძლევთ, სიწმინდეების შებღალვისასაც კი. ეს დანაშაულია და ამას უნდა შველა, ეს მაწუხებს.

ძალიან მინდა, ეს აუცილებლად დაწეროთ: რა არის სახელი ქვეყნის? სიმღერა და კარგი სუფრა? მამული, ენა, სარწმუნოება და ადათები – ეს არის სახელმწიფო. ჩვენს ენას უნდა მოვუაროთ, დავიცვათ, თუ გვინდა ქართველებად დავრჩეთ...

– გილოცავთ, ქალბატონო ნინა, იუბილეს. გისურვებთ, პირველ რიგში, თქვენი სურვილების ასრულებას. უფალმა მოგასწროთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერებას.

უკვდავებასთან მიახლოვება

◁◁ დასაწყისი მე-2 გვერდზე

აფხაზეთის 21-ე სკოლის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ აძიბა[illegible]ამ საკუთარი ლექსი მიუძღვნა დათას ხსოვნას და აღნიშნა, რომ ეს იყო გარდაცვალება და არა სიკვდილი, რადგანაც მისი განუმეორებელი პოეზია მთელი ერის კუთვნილებად იქცა.

სხარტი აზროვნებითა და დეკლამირების უტყუარი ნიჭით თავი გამოიჩინეს ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა – შოთა წურწუმიამ და გიორგი გულუამ დათასადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსებით.

მაყურებლებს და თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმნენ პოეტები: ნინო კემულარია და ლია ნაროუშვილი.

დასასრულს სცენა დაეთმო ჟიურის წევრ პოეტებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებიდან თითო ლექსი მიუძღვნეს დათა გულუას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ კმაყოფილება გამოთქვა კონკურსის შედეგების გამო, მიულოცა გამარჯვებულებს და ხაზი გაუსვა მსგავს ღონისძიებათა ტრადიციად ქცევის აუცილებლობას. მადლობა გადაუხადა ზუგდიდს გულითადი მასპინძლობისთვის და განსაკუთრებით დათა გულუას, რომელის შემოქმედებამაც თბილისსა თუ ზუგდიდში პოეზიის მოყვარულები შეგვკრიბა.

ბატონი ბაკურ გულუას სამადლობელი სიტყვა გაჟღენთილი იყო სიამაყითა და ამოუცნობი სევდით. მის მიერ ნათქვამ[illegible]ფრაზა: „მე დათა გულუას მამა ვარ...“ ღრმა ნოსტა[illegible]ბასთან ერთად იტევდა ბედისწერისგან შერისხული, ვიტყოდი, ჭეშმარიტი პოეტის ამქვეყნად მოვლინების დიდ სიხარულსაც.

საღამოს მიმდინარეობას თბილისში ელეგიურ – საზეიმო განწყობილება შემატა ახლახანს ჩატარებული ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა ღია კონკურსის გამარჯვებული, ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტის მიერ შესრულებულმა სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატურებმა „ლალემ“ და „მწყემსურმა“. ზუგდიდის საღამო კი, ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების მიერ შესრულებულმა მელოდიურმა, გულშიჩამწვდომმა მეგრულმა და აფხაზურმა სიმღერებმა დაამშვენა.

რეჟისურა გამოცდილ, აღიარებულ რეჟისორ გოჩა კაპანაძეს ეკუთვნის, რომელიც ამჟამად ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის დევნილ თეატრს ხელმძღვანელობს. ეს ფაქტიც ხომ სიმბოლურ დატვირთვას იძენს!...

საეკლესიო კალენდარი

1 სექტემბერი (შაბ.) – მოწ. ანდრია სტრატილატის და მისთანა 2593 მოწამეთა ხსენება (284-305წ.);

2 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-14 კვირა – წინასწარმეტყველ სამუელის ხსენება (XI ს. ქრისტეს წინ) – დიდგორობა

3 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-15 შვიდეულის ორშაბათი – ღირ. თადეოზ სტეფანწმინდელის (VI ს.) და მოციქულ თადეოზის, სამოცდაათთაგანის ხსენება (44 წ.);

8 სექტემბერი (შაბ.) – მოწ. ანდრიანეს და ნატალიას ხსენება (305-311 წ.);

9 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-15 კვირა – ღირ. პიმენი დიდის ხსენება (დაახ. 450 წ.);

10 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-16 შვიდეულის ორშაბათი – წმ. მოწ. დედოფალ შუშანიკის ხსენება (475 წ.);

11 სექტემბერი (სამშ.) – თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასსწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესი. მარხვა!

13 სექტემბერი (ხუთშ.) – დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა (395-408 წ.);

14 სექტემბერი (პარ.) – გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტისა;

– ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება მიასინეს სავანეში (864 წ.);

17 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-17 შვიდეულის ორშაბათი – ღირ. სვიმეონის, გარეჯის წინამძღვრის, წინასწარმხედველისა და საკვირველთმოქმედის ხსენება (1773 წ.);

18 სექტემბერი (სამშ.) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობელთა, წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედის ხსენება (I ს.);

19 სექტემბერი (ოთხშ.) – ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა (IV ს.);

21 სექტემბერი (პარ.) – შობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა;

– წმ. აღმსარებელთა იოანეს (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) ხსენება;

– დიდუბობა, გელათობა, შუამთობა, ბეთანიობა. ხსნილი თევზით.

22 სექტემბერი, ჯვართამაღლების წინა შაბათი – წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანას ხსენება;

24 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-18 შვიდეულის ორშაბათი – კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა 300 არაგველთა და სასულიერო და საერო პირთა ხსენება (1795 წ.);

25 სექტემბერი (სამშ.) – წმ. მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის ხსენება (XII ს.);

26 სექტემბერი (ოთხშ.) – ჯვართამაღლების წინადღესასწაული:

– დიდმოწამე საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენება (1624 წ.);

– ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმ. ტაძრის განახლება იერუსალიმში (335 წ.);

27 სექტემბერი (ხუთშ.) – ჯვართამაღლება. წმ. იოანე ოქროპირის მიცვალება (407 წ.);

28 სექტემბერი (პარ.) – ჯვართამაღლების შემდგომი დღესასწაული

– ღირ. ამბა იოსებ ალავერდელის ხსენება (570 წ.);

29 სექტემბერი, ჯვართამაღლების შემდგომი შაბათი – მოწ. ორთა ძმათა ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუ ქალაქში წამებულთა (808 წ.) ხსენება;

30 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-18, ჯვართამაღლების შემდგომი კვირა – მოწ. პისტის, ელპიდის, არაპისა და მათი დედის სოფიოს ხსენება (დაახ. 137წ.).

---

1 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-19 შვიდეულის ორშაბათი – წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661 წ.).

ერთი დღე ბოდბეში

ის იყო ლიდერი...

ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: ირინა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია), ლია სეხნიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

© 2018, სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

ტირაჟი: 300 ცალი

თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11